პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულება #S-202063989 – 07/24

ქ. თბილისი, საქართველო **08 იანვარი 2024 წელი**

1.	**წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:**		
1.1.	**ბანკი:**		
1.1.1.	საფირმო სახელწოდება:		**სს "ლიბერთი ბანკი"**
1.1.2.	იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი:		საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74
1.1.3.	საიდენტიფიკაციო კოდი:		203828304
1.1.4.	*საკონტაქტო მონაცემები:*		
•	ფილიალის/სერვის ცენტრის დასახელება:		
•	ტელეფონი:		2 555 500
•	ელ-ფოსტა:		info@lb.ge
1.1.5.	*წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):*		
•	სახელი და გვარი:		გიორგი ქოროღლიშვილი
•	წარმომადგენლის თანამდებობა:		ციფრული ბანკინგისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი

1.2.	**კლიენტი:**		
1.2.1.	სახელი, გვარი/საფირმო სახელწოდება:		სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“
1.2.2.	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:		202063989
1.2.3.	საცხოვრებელი/იურიდიული მისამართი:		ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. 99/1
1.2.4.	*საკონტაქტო მონაცემები:*		
•	საკორესპონდენტო მისამართი: *(ივსება თუ განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან)*		
•	ტელეფონი:		599 190 295;
•	ელ-ფოსტა:		dianarikadze@gmail.com
1.2.5.	*წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):*		
•	სახელი და გვარი:		თამარ ლორთქიფანიძე
•	პირადი ნომერი:		01024006869
•	წარმომადგენლის თანამდებობა:		დირექტორი

2.	**ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულება** განსაზღვრავს **პოს-ტერმინალის** მეშვეობით გადახდის ოპერაციების წარმოების პირობებს, მათ აღწერილობას და **მხარეთა** უფლება-მოვალეობებს აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის პროცესში.

2.2.	**მხარეთა** შორის შეთანხმებული მომსახურება:		ანგარიშსწორება პოსტერმინალით
2.3.	**მხარეები** მომსახურების პროცესში გამოიყენებენ შემდეგი ტიპის ბარათებს:		ლოკალური, საერთაშორისო
2.4.	მომსახურების საფასურის ოდენობა:		განსაზღვრულია წინამდებარე **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების #1 დანართით**
2.5.	**პოს ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** მიზნებისათვის **კლიენტის** საბანკო რეკვიზიტები:		**სახელმწიფო ხაზინა**
•	ბანკის დასახელება:		**ხაზინის ერთიანი ანგარიში**
•	ბანკის სვიფტ კოდი:		TRESGE22
•	ანგარიშის ნომერი:		708197173
2.6.	**მხარეთა** შორის შეთანხმებული სხვა დამატებითი პირობები:		2.6.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, საკუთარი სახსრებით, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით, საბანკო მომსახურების შესყიდვა. კლ.კოდი: CPV 66110000 2.6.2. ხელშეკრულების საორიენტაციო თანხა შეადგენს.: 2000 (ორი ათასი ლარი და ნული თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. 2.6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება ფორმდება ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მოსახურების საფასურის გადახდა მოხდება ბანკის მიერ მოწოდებული ინვოისის შესაბამისად. 2.6.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ჩაითვლება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. 2.6.5. მხარეებს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში; 2.6.6. უნაღდო ანგარიშსწორების წესით; 2.6.7. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი 2.6.8. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. 2.6.9. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსაახურების გაწევის ვადა: 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. 2.6.10. მხარეები თანხმდებიან, რომ **კლიენტი** შესთავაზებს **მომხმარებლებს**

			50%-იან ფასდაკლებას, **ბანკის** სოციალური ბარათით ანგარიშსწორების შემთხვევაში. **2.6.11. ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით ძალადაკარგულად ცხადდება, **მხარეთა** შორის, პოს-ტერმინალით **მომსახურებასთან** დაკავშირებით **ხელშეკრულების** ხელმოწერამდე გაფორმებული ყველა სხვა შეთანხმება ან/და ხელშეკრულება (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში). [იმ შემთხვევაში თუ **ხელშეკრულების** ხელმოწერამდე, **მხარეთა** შორის დადებული შეთანხმება ან/და ხელშეკრულება პოს-ტერმინალით მომსახურებასთან ერთად მოიცავს სხვა სახის მომსახურება(ებ)საც, წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის მოქმედება შეწყდება მხოლოდ პოს-ტერმინალით მომსახურების ნაწილში.]

2.7. **პოს-ტერმინალით** მომსახურების ყველა სხვა მნიშვნელოვანი პირობა განისაზღვრება წინამდებარე **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** სტანდარტული პირობების (შემდგომში - **სტანდარტული პირობები**) და **ხელშეკრულების დანართ(ებ)ის** შესაბამისად.

2.8. წინამდებარდე **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ხელმოწერით **კლიენტი** იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს და ეთანხმება **სტანდარტულ პირობებს**, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე http://www.libertybank.ge და წინამდებარე **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ყველა **დანართს,** რომლებიც **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებასთან** ერთად წარმოადგენს ერთიან **ხელშეკრულებას.**

2.9. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების**, **სტანდარტული პირობების** და **დანართ(ებ)ის** ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესი იურიდიული ძალა მიენიჭება:

2.9.1. **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების**, **სტანდარტულ პირობების** და **დანართ(ებ)ის** ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესი იურიდიული ძალა მიენიჭება:

2.9.1.1. პირველ რიგში **დანართის** პირობებს;

2.9.1.2. შემდეგ **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** პირობებს;

2.9.1.3. შემდეგ **სტანდარტულ პირობებს**;

2.9.2. **დანართ(ებ)ის** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იმ **დანართს,** რომელიც უფრო ახალია ან/და რომელიც ადგენს უფრო სპეციალურ პირობებს და განკუთვნილია კონკრეტული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

3. განცხადებები და გარანტიები

3.1. **კლიენტი პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით ან/და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების მიღებით/სარგებლობით ადასტურებს, რომ:

3.1.1 აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს **ხელშეკრულებას** და შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2 **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის ხელშეკრულების** დადების/მომსახურების მიღების მიზნით განაცხადის სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია არის ზუსტი, უტყუარი, სრული და **კლიენტი** სრულად აგებს პასუხს მასში მოცემულ ინფორმაციაზე.

3.1.3 დეტალურად გაეცნო და ეთანხმება **სტანდარტულ პირობებს** (მათ შორის განცხადებებსა და გარანტიებს, კომუნიკაციის, კონფიდენციალურობის დაცვის, **ხელშეკრულების** ცვლილებისა და შეწყვეტის პირობებსა და გარემოებებს).

3.2. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკი ხელშეკრულებას** დებს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებითა** და **სტანდარტული პირობებით** განსაზღვრულ, **კლიენტის** განცხადებებს, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ **ხელშეკრულების** არსებით და მნიშვნელოვან პირობებად, შესაბამისად, **ხელშეკრულების** დადებისას ან/და დადების შემდეგ **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებითა** და **სტანდარტული პირობებით** გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე ცალმხრივი უარის სათქმელად ან/და **ხელშეკრულების** ცალმხრივად შესაწყვეტად.

4. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

4.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. წინამდებარე **ხელშეკრულებასთან** მთლიანობაში ან მის რომელიმე ნაწილთან, აგრეთვე წინამდებარე **ხელშეკრულებასთან** პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირში მყოფ ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით დავების წარმოქმნის შემთხვევაში, **მხარეები** ყველა ძალისხმევას გამოიყენებენ მოლაპარაკებების გზით მათი გადაჭრისათვის.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ **მხარეები** ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მოლაპარაკებებით, მაშინ დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, **ხელშეკრულების** შესრულების ადგილის მიხედვით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

5.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.2. **ხელშეკრულების** მოქმედებისა და შეწყვეტის სხვა პირობები და გარემოებები განისაზღვრება **სტანდარტული პირობებით**.

6. ზოგადი დებულებები

6.1. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები (მათ შორის **სტანდარტული პირობები** და **ტარიფები**) **სტანდარტული პირობებით** დადგენილი წესით.

6.2. **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე, ხოლო თავის მხრივ **კლიენტს** უფლება არა აქვს **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა **მესამე პირს**.

6.3. **კლიენტის** მიერ **ბანკიდან** ელექტრონული ფორმით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

6.4. **ხელშეკრულება** შესასრულებლად სავალდებულოა **მხარეების** შესაბამისი მემკვიდრეების და უფლებამონაცვლეებისათვის.

6.5. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. **კლიენტი** ვალდებულია ხელი მოაწეროს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ყველა ეგზემპლარს.

7. მხარეთა ხელმოწერები:

ბანკი | კლიენტი

--- | ---

დანართი #1 - პოს-ტერმინალით მომსახურებისათვის დადგენილი ტარიფები

POS ტერმინალით მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფები

1. გადასახდელების მიღება პოს ტერმინალების საშუალებით:

#	მომსახურების ტიპი	ოპერაციის თანხის %	მინიმალური ტარიფი
1.1.	ანგარიშსწორება ლიბერთი ბანკის ბარათებით	0.9	0.01
1.2.	ანგარიშსწორება **პარტნიორი ბანკების** ბარათებით	1.3	0.01
1.3.	ანგარიშსწორება **პარტნიორი საგადახდო მომსახურების პროვაიდერების** მიერ ემიტირებული ბარათებით	1.3	0.01
1.4.	ანგარიშსწორება სხვა რეზიდენტი კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათებით	1.7	0.20
1.5.	ანგარიშსწორება არარეზიდენტი კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათებით	2.2	0.20

2. სხვა ტარიფები და პირობები:

2.1.	**პოს ტერმინალის** ღირებულება	1100 ლარი
2.2.	**პოს ტერმინალის დამტენის** ღირებულება	70 ლარი
2.3.	**პოს ტერმინალის გადამყვანის** ღირებულება	50 ლარი
2.4.	**ტრანზაქციის არქივიდან** ინფორმაციის მიწოდება	10 ლარი
2.5.	ყოველთვიური გადასახდელი ერთ ტერმინალზე	-------
2.6.	**რეზერვის/დეპოზიტის** მოცულობა	-------
2.7.	ანგარიშსწორების პერიოდულობა	შემდეგი სამუშაო დღის 17:00-მდე
2.8.	კომპანიის საქმიანობის სფერო	თეატრალური წარმოდგენები - კულტურა
2.9.	**პოს ტერმინალის** დღიური ბრუნვის მაქსიმალური ლიმიტი	1000 ლარი
2.10.	გადახარჯვის (ოვერლიმიტის) **საკომისიო** გადახარჯვის ყოველი დღისათვის	-----

Giorgi Koroglishvili 01015002935
Digitally signed by Giorgi Koroglishvili
Date: 2024.01.17 13:47:33

LEPL Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre
Digitally signed by LEPL Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre
Date: 2024.01.08 11:40:43 +04'00'